აზიის განვითარების ბანკს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს

საქართველოს პრემიერ მინისტრს

ბატონ მამუკა ბახტაძეს

საქართველოს სახალხო დამცველს

ქალბატონ ნინო ლომჯარიას

საქართველოში მოქმედ ადგილობრივ და

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს

საქართველოს მოსახლეობას

ხადის ხეობის მოსახლეობის

მ ი მ ა რ თ ვ ა

როგორც ცნობილია, ხადის ხეობის გავლით იგეგმება ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის გზის პროექტის განხორციელება. გზის ამ მონაკვეთისთვის 30-ზე მეტი სხვადასხვა ალტერნატივა არსებობდა, თუმცა, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა რატომღაც არჩევანი სწორედ ჩვენს ხეობაზე შეაჩერა. სოფელი ქვეშეთიდან-კობამდე, 23 კილომეტრიან გზაზე, უზარმაზარი ხიდებისა და გვირაბების მოწყობა იგეგმება. გვირაბებიდან ყველაზე გრძელი იქნება 9 კილომეტრიანი, ხოლო ხიდებიდან ორი 400 მეტრზე გრძელი ხიდი.

პროექტი ხადისთვის უამრავი სხვადასხვა საფრთხის შემცველია, ხოლო ხეობისთვის მისი სარგებელი ძალიან მცირეა. პროექტი თავის დოკუმენტებშივე შეფასებულია როგორც A კატეგორია, ანუ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე: სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაკარგვა, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, ნარჩენების დიდი მოცულობის წარმოქმნა, საგზაო უსაფრთხოება, ვიბრაცია, ხმაურით დაბინძურება მშენებლობისა და

მაგისტრალის ექსპლუატაციის პროცესში, ზემოქმედება მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობაზე და უნიკალურ ლანდშაფტზე.

მაგისტრალი ნეგატიურად იმოქმედებს ადგილობრივ სოფლის მეურნეობაზე, თუმცა ამაზე არც პროექტის დოკუმენტები და არც საგზაო დეპარტამენტი არ ამახვილებს ყურადღებას. გზა ჩვენს მიწებზე გაივლის და დეპარტამენტი მხოლოდ იმ მიწებზე აპირებს კომპენსაციის გადახდას, რომელზეც მაგისტრალი მოეწყობა, თუმცა ადექვატური კომპენსაციის შემთხვევაშიც საგულისხმოა რომ ჩვენ ჯანსაღი პროდუქციის წარმოებას ვეღარ შევძლებთ. მაგალითად, ხანდოს ხილის საწყობი/ქარხანა ავტომაგისტრალიდან 200 მეტრზე ნაკლებ მანძილზე მოყვანილ ხილს არ იბარებს, ჩვენ კი მაგისტრალიდან 10-15 მეტრში მოგვიწევს პროდუქტების მოყვანა. ასევე, სრულიად მიუღებელია შემოთავაზებული კომპენსაციების საფასურიც: 1 კვადრატული მიწა - 5 ლარი და 60 თეთრი. მიწა არ იყიდება, მიწა რომელშიც ჩვენ მამა-პაპას აქვს სისხლი და ოფლი ჩაქცეული და რომელის გასხვისებასაც თან გაჰყვება ჩვენი ყოველდღიური სიმშვიდე, სუფთა ჰაერი, ჯანმრთელობა და ეკოლოგიურად სუფთა საკვები.

ჩვენი ხეობა მდიდარია კულტურული მემკვიდრეობით, თუმცა თითქმის ყველა ძეგლი თუ არქეოლოგიური მასალები შეუსწავლელია. პროექტის ავტორებმა არც ეს ძეგლები აღწერეს და შეისწავლეს, არც კულტურულ ძეგლებზე ზემოქმედებისა და თავის არიდების გზები შეიმუშავეს. პროექტის წარმომადგენლები მხოლოდ იმას ამბობენ, ძეგლებს მეთვალყურეები ეყოლებათ და არაფერი დაზიანდებაო, რაც ჩვენ არ გვჯერა. მშრალი ქვის წესით არის ნაშენები ხეობაში საცხოვრებლებისა და ძეგლების დიდი რაოდენობა, და მაგისტრალის მშნებელობისა თუ ფუნქციონირების დროს, დიდი იქნება მათზე ზემოქმედება. პროექტის ზემოქმედების სახეებშიც წერია, რომ „მშენებლობის პროცესში შესაძლებელია ეკლესიებისა და კოშკების დაზიანება“.

პროექტის განხორციელება გავლენას მოახდენს გარემოზეც. მშენებლობის პროცესშიც და უკვე მაგისტრალის ფუნცქიონირების დროს, როდესაც გზას დიდი გამტარიანობა ექნება და ტრაილერები დაიწყებენ გადაადგილებას, მნიშვნელოვნად გაუარესდება ჰაერის ხარისხი და ნარჩენების რაოდენობა, მაშინ როდესაც, ახლანდელი მდგომარეობით ხეობა სრულიად ხელუხლებელია და ხეობაში დამაბიძურებელი არანაირი ობიექტი არ არსებობს. თვითონ გარემოზე ზემოქმედების კვლევით დოკუმენტშივეა ნათქვამი, რომ ხადის ხეობაში ხმაურის გამომწვევი ორი ძირითადი წყაროა - ქარი და ჩიტების ჭიკჭიკი.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი წყლის რესურსების დაბინძურება, არასათანადო ჯანმრთელობის მონიტორინგის ფონზე შესაძლებელია დაავადებების მოსახლეობაზე გავრცელება, უცხო სახეობების გავრცელება, ჰაბიტატების განადგურება და ა.შ. გვირაბების გაყვანის შემდგომ

საჭირო იქნება 3.6 მილიონი კუბური მეტრი ფუჭი ქანების ხეობაში განთავსება, რასაც დამატებით თავისი ზემოქმედება ექნება. გვირაბიდან გამოტანილი მიწის დასაყრელად განიხილავენ კონკრეტულ სოფლებს - ქვეშეთში მდინარის პირს, დიდველის მთას (სოფ. ბედონის თავზე) და ზაქათკარის მარჯვნივ მიმდებარე უზარმაზარ ტერიტორიას. აღსანიშნავია რომ შეუძლებელია წლების შემდეგაც კი ამ ნაყარის გამოყენება სახნავ-სათესად თუ სათიბად.

პროექტის წარმომადგენლები ცდილობენ დაგვაჯერონ რომ ახალი გზა ეკოტურიზმს განავითარებს, როდესაც რეალურად საპირისპიროა მოსალოდნელი. არსებული ლანდშაფტის დაზიანება/განადგურების, ჰაერისა და ხმაურის დაბინძურების, ეკოლოგიურად სუფთა საკვების მოყვანის შესაძლებლობის მოსპობის ფონზე, შეუძლებელი იქნება ხეობაში მდგრადი ტურიზმის განვითარება. თანაც თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მოგზაურებისთვის ხელუხლებელი გარემო უფრო მიმზიდველი და საინტერესოა, ანუ ისეთი, როგორიც ხადა დღესაა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტი გეოლოგიურ საფრთხეებსაც შეიცავს. გეოლოგების ნაწილი ამბობს, რომ 9 კმ-იანი გვირაბის გაყვანა ამ ადგილას სახიფათოა, რადგან იქ მიძინებული ვულკანების ზონაა და პოსტ-ვულკანური პროცესები მიმდინარეობს. ვიბრაციისა და გათხრის დროს შესაძლოა მავნე აირები გამოიფრქვეს. ამ ყველაფერს შესწავლა სჭირდება, რისი კვლევაც არ ჩატარებულა. ამიტომ, ვშიშობთ, რომ გვირაბის გაყვანის დაწყებას დიდი საფრთხეები შეიძლება მოჰყვეს მთელი ხეობისთვის, განსაკუთრებით კი წკერის მოსახლეობისთვის.

პროექტის განხორციელება მინიმუმ 4 წელი გაგრძელდება და დაახლოებით 146 მძიმე ტექნიკა იმუშავებს. 600 ადამიანი დასაქმდება და მოეწყობა დროებითი ბანაკები. 4 წელი ასეთი მასშტაბური სამუშაოები და ამდენი უცხო ადამიანების შემოდინება, ბევრ საფრთხეს გააჩენს ხეობაში. განსაკუთრებით გართულდება ქალების ყოველდღიური საქმიანობა და ბავშვების უსაფრთხოების დაცვა.

აღსანიშნავია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩვენთვის მიუღებელი ქმედება - ივლისის თვის პირველ ნახევარში, ჩვენი, ხადის ხეობის მკვიდრთა ტრადიციულ საკუთრებაში მქონე მიწები/მამულები, სრულიად უსასყიდლოდ გადაეცა საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ჯამური ფართობით - 845775 მ²(!)[1]. ამ მიწების დაკანონებას

[1] სოფ. არახვეთი - 10 ერთეული ნაკვეთი, ჯამური ფართობით 90709 მ2; სოფ. ბენიან-ბეგონი - 8 ერთეული, ჯამური ფართობით 11104 მ2; სოფ. ზაქათკარი - 18 ერთეული, ჯამური ფართობით 42611 მ2; სოფ. იუხო - 4 ერთეული, ჯამური ფართობით 13198 მ2; სოფ. მუღურე - 2 ერთეული, ჯამური ფართობით 5783 მ2; სოფ. როსტიანი - 5 ერთეული, ჯამური ფართობით 641624 მ2; დაბა ქვეშეთი - 7 ერთეული, ჯამური ფართობით 35026 მ2; სოფ. წკერე - 3 ერთეული, ჯამური ფართობით 5720 მ2.

მოსახლეობა წლებია უშედეგოდ ცდილობს, თუმცა პასუხად ყოველთვის იმას იღებდა, რომ მიწა რეკრეაციულ ზონაში იყო მოყოლილი.

შეჯამებისთვის, შეხვედრაზე საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლის მიერ სიტყვა-სიტყვით შემდეგი ფრაზა ითქვა: "თქვენ რა გგონიათ, ეს გზა ხადისთვის კეთდება?". ჩვენი მოლოდინი ხეობის არსებული გზის რეაბილიტაცია იყო, თუმცა ირკვევა, რომ პროექტი ჩვენს ამ მთავარ პრობლემას არ აგვარებს. პროექტი არ არის მორგებული ადგილობრივების საჭიროებებზე და პირიქით, ხადის ხეობის მსხვერპლად გაღებას გულისხმობს, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ.

ამიტომ, ვითხოვთ:

1. არ აშენდეს ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მაგისტრალი ხადის ხეობის გავლით და მოიძებნოს სხვა ალტერნატივა;

2. რეაბილიტირდეს ხადის ხეობის არსებული გზა, რომელიც ხეობის ყველა სოფლის შიდა გზებს მოიცავს;

3. შემუშავდეს ჩვენი ხეობის მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც აუცილებლად მოიცავს კულტურული ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციას.

4. მოსახლეობას დაუბრუნდეს თავის ტრადიციულ საკუთრებაში არსებული მიწები, რომლებიც საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიტაცა.

ხადის ხეობის მოსახლეობა:

0. [illegible]
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]

7. [illegible] [illegible]
8 [illegible] [illegible]
9 [illegible] [illegible]
10 [illegible] [illegible]
11 [illegible] [illegible]
12 [illegible] [illegible]
13. [illegible] [illegible]
14 [illegible] [illegible]
15 [illegible] [illegible]
16 [illegible] [illegible]
17 [illegible] [illegible]
18 [illegible] [illegible]
19 [illegible] [illegible]
20 [illegible] [illegible]
21 [illegible] [illegible]
22 [illegible] [illegible]
23 [illegible] [illegible]
24 [illegible] [illegible]
25 [illegible] [illegible]
26 [illegible] [illegible]
27 [illegible] [illegible]
28 [illegible] [illegible]
29 [illegible] [illegible]
30 [illegible] [illegible]
31 [illegible] [illegible]
32 [illegible] [illegible]
33 [illegible] [illegible]
34 [illegible] [illegible]
35 [illegible] [illegible]
36 [illegible] [illegible]
37 [illegible] [illegible]
38 [illegible] [illegible]
39 [illegible] [illegible]
40 [illegible] [illegible]
41 [illegible] [illegible]
42 [illegible] [illegible]
43 [illegible] [illegible]

[illegible] –
[illegible] –
[illegible] –
[illegible] –
[illegible] –